პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 53 (5083)

1974 წ. 16 მარტი, შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურულ კოლექტივებს, საქართველოს სოფლების ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს —

# იბრძოლეთ შრომაში, ფიზკულტურასა და სპორტში ახალ-ახალი წარმატებებისთვის!

ახლახან გარდაბნის რაიონის ვარკეთილის ლენინის ორდენოსან მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობისა და მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივებში გაიმართა კრებები, სადაც საბჭოთა მეურნეობის მუშა-მოსამსახურეებმა და კოლმეურნეობის წევრებმა პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვის საპასუხოდ აიღეს გადიდებული ვალდებულებანი და მოწოდებით მიმართეს საქართველოს სოფლის მეურნეობის მშრომელებს, ფიზკულტურელებსა და სპორტსმენებს. ქვემოთ ვაქვეყნებთ ამ მიმართვათა ტექსტებს.

### გარდაბნის რაიონის ვარკეთილის ლენინის ორდენოსანი მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის მიმართვა საქართველოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივებისადმი

ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურელები და სპორტსმენები მხურვალედ ვიწონებთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისადმი, საბჭოთა ხალხისადმი მეცხრე ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების წარმატებით შესასრულებლად.

1973 წელი ჩვენი მეურნეობის კოლექტივისთვის დიდი შრომითი გამარჯვებების წელი იყო: გადაჭარბებით შესრულდა სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმები და თვითვალდებულებები. საქმეში აქტიურად იყო ჩაბმული ჩვენი მეურნეობის ყველა მშრომელი და მნიშვნელოვან წარმატებებსაც მივაღწიეთ.

შარშანდელ სამეურნეო წელს მეურნეობის კოლექტივმა დიდი გადაჭარბებით შეასრულა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, წარმოებისა და სახელმწიფოსთვის ჩაბარების გეგმა-ვალდებულებები.

დამზადებულია დიდი რაოდენობით უხეში და წვნიანი საკვები, შესრულდა კაპიტალური მშენებლობის გეგმა, მათ შორის — ბინათმშენებლობისა. ახალ ბინებში შესახლდება 50 ოჯახი.

მეურნეობამ პროდუქციის რეალიზაციის გეგმა შეასრულა 104 პროცენტით, რის შედეგადაც სახელმწიფოს მივეცით 250 ათასი მანეთის ზეგეგმური პროდუქცია და მოგებამ გეგმური 270 ათასი მანეთის ნაცვლად 300 ათას მანეთზე მეტი შეადგინა.

ჩვენი კოლექტივის შრომა პარტიამ და მთავრობამ ჯეროვნად დააფასეს: მეურნეობის 9 მოწინავე მუშა დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით. ლენინის ორდენი მიიღო მოწინავე ტრაქტორისტმა გიორგი ყარყარაშვილმა.

ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა, განიხილა რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვა პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლისთვის აიღო გადიდებული ვალდებულებანი:

ვაწარმოებთ და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 1500 ტონა მაღალხარისხოვან ყურძენს, რაც 80 ტონით აღემატება ვალდებულებას. ვაწარმოებთ 2000 ტონა ხილს და სახელმწიფოს ჩავაბარებთ 1800 ტონას, რაც 100 ტონით მეტია გეგმით გათვალისწინებულზე.

მეურნეობის მაცივარში შევინახავთ 500 ტონა ყურძენსა და ხილს თბილისისა და რუსთავის მშრომელებისთვის.

მეურნეობის წარმოება გამოუშვებს 1500 ტონა მაღალხარისხოვან პროდუქციას კომპოტების, მურაბებისა და წვენების სახით.

დიდი გადაჭარბებით შევასრულებთ ბოსტნეულისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებისა და სახელმწიფოსთვის ჩაბარების გეგმებს.

შრომისნაყოფიერებას გავზრდით 6 პროცენტით და სახელმწიფოს მივცემთ 500 ათას მანეთ მოგებას.

ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც კომუნისტური აღზრდის, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება, ღრმად შეიჭრა მეურნეობის მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში.

მეურნეობაში აშენებული გვაქვს საუკეთესო სპორტული კომპლექსი: სპორტდარბაზი, ღია საცურაო აუზი, სტადიონი მძლეოსნური სექტორებით, კალათბურთისა და ჩოგბურთის მოედნები, ღია საჭიდაო სარბიელი.

ჩვენი ახალგაზრდები შრომას კარგად უთავსებენ ფიზკულტურასა და სპორტს. სამუშაოსგან თავისუფალ დროს ისინი სპორტულ სექციებსა და ჯგუფებში მეცადინეობენ. 1973 წელს ჩვენს მეურნეობაში მომზადდა 3 პირველთანრიგოსანი, სხვადასხვა თანრიგის 80 სპორტსმენი, 50 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, 25 საზოგადოებრივი ფიზკულტურული მუშაკი.

ვარკეთილის მევენახეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენები და ფიზკულტურელები შრომაშიც მოწინავენი არიან. მაგალითად, შრომაში მოპოვებული წარმატებებისთვის დაჯილდოვდნენ: სპორტის ოსტატი, ბრიგადირი ზ. პაპიძე — „საპატიო ნიშნის“ ორდენით, სპორტსმენები — აგრონომი ს. ბუჭყიაშვილი — „საპატიო ნიშნის“ ორდენით, ტრაქტორისტი გურამ ყარყარაშვილი — მედლით „შრომითი მამაცობისთვის“.

ვანიჭებთ რა უდიდეს მნიშვნელობას სოფლის მშრომელთა შორის ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარებას, მეცხრე ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელ წელს ვღებულობთ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

ფიზკულტურელები და სპორტსმენები აქტიურად ჩავებმებით მეურნეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმებისა და თვითვალდებულებების შესრულებისთვის გაშლილ საყოველთაო ლაშქრობაში, ვიბრძოლებთ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრის, შრომის დამკვრელის მაღალი წოდების მოსაპოვებლად, რათა ახალი დამკვრელური ბრიგადები შევმატოთ ჩვენი მეურნეობის კომუნისტური შრომის სახელოვან კოლექტივს.

ფიზკულტურასა და სპორტში ჩავაბამთ მშრომელთა 45 პროცენტს, არსებულ თორმეტ სპორტულ სექციას დავუმატებთ ორ ახალ სექციას; მოვამზადებთ 100 მშდ კომპლექსის ნიშნოსანს, 10 პირველთანრიგოსანს, 50 ჩეორეთანრიგოსანს, 70 მესამე და მოზარდთა თანრიგების სპორტსმენს. ჩავატარებთ ლექცია-მოხსენებათა ციკლს, რითაც მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას, მოვაწყობთ ამხანაგურ შეხვედრებს მეზობელი მეურნეობების სპორტულ კოლექტივებთან, ჩამოვაყალიბებთ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას (გავხსნით 10 ჯგუფს), ეზოებში მოვაწყობთ ფრენბურთისა და კალათბურთის მარტივ მოედნებს.

ვიღებთ რა ამ სოციალისტურ ვალდებულებებს, საქართველოს სსრ ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივებს, ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს მივმართავთ მოწოდებით, რომ ჩაებან მეცხრე ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და ვალდებულებების შესასრულებლად გაშლილ საყოველთაო ლაშქრობაში, იბრძოლონ შრომაში, ფიზკულტურასა და სპორტში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

**კრების მონაწილეთა სახელით:**
**მეურნეობის დირექტორი ი. კაპილაძე, პარტორგანიზაციის მდივანი გ. სირბილაძე, მუშათა კომიტეტის თავმჯდომარე ი. ჯოხაძე, ალკკ კომიტეტის მდივანი ნ. თვაური, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე გ. შარაშიძე.**

### მახარაძის რაიონის ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის მიმართვა საქართველოს სსრ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფიზკულტურული კოლექტივებისადმი

ნატანების კოლმეურნეობის ფიზკულტურელები და სპორტსმენები მხურვალედ იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიმართვას პარტიისა და საბჭოთა ხალხისადმი.

აღსანიშნავია, რომ 1973 წელი საყოველთაო შრომითი შემართების წელი იყო. სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა-ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისთვის ბრძოლაში აქტიურად იყო ჩაბმული ჩვენი კოლმეურნეობის ყველა მშრომელი.

1973 წელს კოლმეურნეობამ სახელმწიფოს მიჰყიდა 3882 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3231 ტონისა, 2000-ის ნაცვლად 2500 ტონა ციტრუსი, 6000-ის ნაცვლად 6824 ცენტნერი სიმინდი, 2612 ცენტნერი რძე, 510 ცენტნერი ხორცი, 1526 ტონა ყველა სახის ხილი და სხვა პროდუქტები.

ეს ნაყოფიერი შრომა პარტიამ და მთავრობამ სათანადოდ დააფასეს: კოლმეურნეობის 17 მშრომელი დაჯილდოვდა ორდენებითა და მედლებით.

ფიზიკური კულტურა და სპორტი, როგორც კომუნისტური აღზრდის, მშრომელთა ჯანმრთელობის განმტკიცების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალება, ღრმად შეიჭრა ჩვენი კოლმეურნეობის მშრომელთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში.

ჩვენი ახალგაზრდობა წარმატებით უთავსებს შრომას ფიზკულტურასა და სპორტს.

შარშან ჩვენს კოლმეურნეობაში მომზადდა 9 პირველთანრიგოსანი, 9135 სხვადასხვა თანრიგის სპორტსმენი, 172 მშდ კომპლექსის ნიშნოსანი, 38 საზოგადოებრივ-ფიზკულტურული მუშაკი.

1973 წელს ზემო ნატანების სკოლას მივუშენეთ მცირე ზომის სპორტული დარბაზი.

ფიზკულტურელები მოწინავენი არიან შრომაშიც. მაგალითად, შრომით სარბიელზე მოპოვებული წარმატებებისთვის კოლმეურნეობამ საჩუქრები გადასცა ქ. ხომერიკს, ზ. თავაძეს, ვ. გვალიას, ზ. ცერცვაძეს. მეცხრე ხუთწლედის მეოთხე — განმსაზღვრელ წელს ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებისთვის ვღებულობთ შემდეგ სოციალისტურ ვალდებულებებს:

ფიზკულტურელები და სპორტსმენები აქტიურად ჩავებმებით სოფლის მეურნეობისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოებისა და დამზადების გეგმა-ვალდებულებათა შესრულებისთვის გაშლილ საყოველთაო ლაშქრობაში და ვიბრძოლებთ კომუნისტური შრომის ბრიგადის წევრის, შრომის დამკვრელის მაღალი წოდების მოსაპოვებლად.

ფიზკულტურასა და სპორტში ჩავაბამთ მშრომელთა 40 პროცენტს, დამატებით ჩამოვაყალიბებთ სპორტულ სექციებს ჭადრაკსა და ტყვიის სროლაში, მოვამზადებთ ერთ სსრ კავშირის სპორტის ოსტატობის კანდიდატს, 11 პირველთანრიგოსანს, 142 სხვადასხვა თანრიგის სპორტსმენს, 180 მშდ კომპლექსის ნიშნოსანს, 45 საზოგადოებრივ ფიზკულტურულ მუშაკს.

ჩავატარებთ ლექცია-მოხსენებებს, გავაუმჯობესებთ ფიზიკური კულტურისა და სპორტის პროპაგანდას, მოვაწყობთ შეხვედრებს სახელგანთქმულ სპორტსმენებთან.

ჩამოვაყალიბებთ ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას სამ სახეობაში. კეთილმოვაწყობთ ფეხბურთის მინდორს, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნებს, გავაგრძელებთ სპორტული დარბაზის მშენებლობას.

ვიღებთ რა აღნიშნულ სოციალისტურ ვალდებულებებს, რესპუბლიკის ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივებს, ყველა ფიზკულტურელსა და სპორტსმენს მივმართავთ მოწოდებით, რომ მხარი დაგვიჭირონ და აქტიურად ჩაებან მეცხრე ხუთწლედის მეოთხე, განმსაზღვრელი წლის გეგმებისა და თვითვალდებულებების შესასრულებლად გაშლილ საყოველთაო ლაშქრობაში, იბრძოლონ შრომაში, ფიზკულტურასა და სპორტში ახალ-ახალი წარმატებებისთვის.

**კრების მონაწილეთა სახელით:**
**ნატანების ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სოციალისტური შრომის გმირი გ. წითლიძე, კომკავშირის კომიტეტის მდივანი გ. გუჯაბიძე, ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე ო. ზოიძე.**

---

„ლელოს“ სპეციალური კორესპონდენტი ო. გელაშვილი ბაკურიანიდან გვატყობინებს

•

## იღბლიანი ნომერი

ბაკურიანი, 14 მარტი. სპარტაკიადა დასასრულს უახლოვდება. ხვალ აქ მოეწყობა ვაჟთა ნახევარფინალური შეჯიბრება სპეციალურ სლალომში, ზეგ კი გამოვლინდება ორი უკანასკნელი ჩემპიონი — 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომასა და სპეციალურ სლალომში. შემდეგ სპარტაკიადა საზეიმოდ დაიხურება.

სპეციალურ სლალომში ქალთა ნახევარფინალური შეჯიბრება გუშინ ჩატარდა. 83 სპორტსმენიდან ფინალურ შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება უკვე 47 ქალმა და ქალიშვილმა მიიღო. ნახევარფინალური ასპარეზობა დაძაბული და საინტერესო იყო. ფინალის საგზურები ვერ მოიპოვეს ცნობილმა სპორტის ოსტატებმა, მოსკოველმა ტ. სულკოვამ, სვერდლოვსკელმა გ. მალოზიომოვამ და სხვებმა. მათი ბედი გაიზიარა საქართველოს გუნდის წევრმა თ. კოზანაშვილმაც.

ნახევარფინალისტები პატარ-პატარა ჯგუფებად დაიყვნენ. ის, ვინც პირველი ცდით ყველას აჯობებდა, მეორე ცდისგან თავისუფალი იყო. ფავორიტებმა: ამ სპარტაკიადის ჩემპიონებმა ნ. მერკულოვამ (მოსკოვი) და გ. შიხოვამ (მოსკოვის ოლქი), აგრეთვე ტ. პერჩატკინამ (ბაშკირეთი), ს. ნასყიდაშვილმა (საქართველო) და სხვებმა გადამწყვეტ ეტაპზე ბრძოლის უფლება თითო დაშვებით მოიპოვეს. ნ. პერჩატკინას (ბაშკირეთი) კი მეორე ცდის დროსაც მთელი ძალის მოკრება დასჭირდა მიზნის მისაღწევად.

დღეს ჩატარდა ფინალური შეჯიბრებები. პირველი ცდისთვის 415-მეტრიანი ტრასა მოეწყო 37 კარით. მეორე ცდისთვის გამართულ 430-მეტრიან დისტანციაზე 46 კარი იდგა (სიმაღლეთა სხვაობა ორივეჯერ 150 მეტრს უდრიდა).

წინასწარ ვიტყვით: პირველი ტრასის მეორე მონაკვეთი „მუხანათური“ იყო — თ. სკრიაბინს (ბაშკირეთი) პლატოს დასასრულშივე ისე „მზაკვრულად“ დაედგა კარი, რომ შეჯიბრების მონაწილეებს ამ ადგილას დიდი ყურადღების გამოჩენა მართებდათ. ამ კარმა 6 სპორტსმენი „იმსხვერპლა“. აქ დაზარალდნენ საპრიზო ადგილების აღიარებული პრეტენდენტები: საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი ა. ასკაროვა და ქვეყნის მრავალგზის ჩემპიონი ლ. კაბანოვა (ორივე — კემეროვოს ოლქი, „ბურევესტნიკი“).

ქალებისა და ქალიშვილებისთვის წარმატების ბოლო შანსი სპეციალური სლალომი იყო. ამიტომ თავს არავინ ზოგავდა: ნ. მილიუკოვამ (ბაშკირეთი, „სპარტაკი“) პირველი ტრასა უშეცდომოდ გაიარა — 34,92, მაგრამ მისმა თანაგუნდელმა, ქვეყნის ნაკრების წევრმა ტ. პერჩატკინამ იმავე წუთში 34,39 აჩვენა. თუმცა დიდი დღე არც ამ შედეგს ეწერა — ტატიანას უფროსმა დამ ნატალიამ, რომელიც მესამე დაეშვა, ეს მაჩვენებელი 0,12 წამით გააუმჯობესა.

— ნუთუ აქაც მესამე ნომერი იქნება იღბლიანი? — შენიშნა რომელიღაც მაყურებელმა.

მართლაც, სწრაფდაშვებაში გამარჯვებული, მოსკოველი ნ. მერკულოვაც („სპარტაკი“) და გიგანტურ სლალომში ოქროს მედლის მფლობელი გ. შიხოვაც მესამე ნომრით გამოდიოდნენ.

(გაგრძელება მე-2 გვ.).



**სურათზე:** ორადგილიანი ციგებით მოასპარეზეთა შორის გამარჯვებულნი ი. ეგოროვი (მარცხნივ) და ი. იუდიჩევი (ორივე — ლენინგრადი).

ბ. კოკვაძის ტელეფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).

# გამარჯვება

ადამიანი მიფრინავს სივრცეში. იგი მიფრინავს მაღლა, სულ მაღლა, საიდანაც წერტილებივით ჩანან ცნობისმოყვარე მაყურებლები, სახლები, გზები, თოვლზე ირიბად გაჭრილი ბილიკები. ალბათ დიდი სიამოვნება უნდა იყოს არა იმდენად ფრენის პროცესი, რამდენადაც შეგნება იმისა, რომ ადამიანს თითქმის ყველაფერი, ანდა ყველაფერი ძალუძს, ასე გასინჯეთ, ფრენაც კი. მაგრამ ადამიანიც არის და ადამიანიც. ჰაერში თხილამურებით ფრინავენ ყველაზე მედგარი და შეუდრეკელნი... არა ყალბ რომანტიკას, არამედ საკუთარი თავის შემოწმებისა და გამოცდის სურვილს აჰყავს თხილამურებით კაცი გაყინულ სივრცეში. ის მარტოა, ის მარტო მიფრინავს და ვერავინ ვერასდროს გაიგებს, თუ რაზე ფიქრობს ჰაერში მოფარფატე კაცი დათვლილი წამების მანძილზე. ვერ გეტყვით, რადგანაც თავად თხილამურიანმა კაცმა არ იცის, რას ფიქრობს მაშინ: იგი ილტვის მიზნისკენ, მიწისკენ, თოვლისკენ, გამარჯვებისკენ. გამარჯვებამდე ანდა მიზნამდე კი ალბათ ბევრ რამეზე ფიქრობს, მაგრამ ეს ფიქრი უფრო შთაგონებას ჰგავს, ვიდრე აზრების ლოგიკურ, მწყობრ მდინარებას.

დაახლოებით ასეთი აზრი გამოთქვა საჩემპიონო ნახტომის შემდეგ ჩემთან საუბარში მიხეილ გავამ (როცა ჩავაცივდი და არ მოვეშვი).

ასე დაიწყო ჩვენი საუბარი ტანმაღალ, წაბლისფერთმიან, ცისფერთვალა ბაკურიანელ ვაჟკაცთან. ამ კონტექსტში სიტყვა ვაჟკაცი მართლაც უპრიანია. ამას, ვაჟკაცობას, გულისხმობს პირველ ყოვლისა ტრამპლინიდან ხტომა, და უკვე მერე ჩვეულებრივ სპორტულ კომპონენტებს. ამიერიდან მიხეილ გავას სახელი ოქროს ასოებით ჩაიწერება ქართული სპორტის ისტორიაში, ხოლო მემატიანე მისი გვარის გასწვრივ ხშირად დაწერს ეპითეტებს: უშიშარი რაინდი, მფრინავი ტორპედო... და, რა თქმა უნდა, არავის დაავიწყდება სიტყვა „მოულოდნელი".

ვიყოთ გულახდილნი: მართლაც მოულოდნელი იყო არა მარტო ჩვენთვის, არამედ ყველანაირი სიურპრიზების მომლოდინე სპეციალისტებისთვისაც კი მიხეილ გავას ოქროს მედალი. ჯერ ერთი, მიხეილი ასპარეზობდა მსოფლიოს აღიარებულ მხტომელებთან, მეორეც, სპარტაკიადა, როგორც მოგეხსენებათ, ყოველ წელს არ იმართება და „შემთხვევით" არავინ კარგავს გამარჯვების შანსს.

ნაპალკოვი, ბელოუსოვი, კალინინი, წაქაძე, ჟეგლანოვი, ბოროვიტინი, ბოჩკოვი, სუსლიკოვი... ვერაფერს იტყვი, ჭეშმარიტად „საშიში" კომპანიაა, რომელშიც აგრე იოლად მსოფლიოს ვერც ერთი სახელოვანი მხტომელი ვერ ინავარდებდა. ამას დაუმატეთ კიდევ შეჯიბრების მონაწილე 58 „თავზე ხელაღებული მფრინავი" და კიდევ მრავალი სირთულე, რაც ახასიათებს სპორტის ამ ცოტა არ იყოს „ვერაგ" სახეობას. ვისა აქვს გარანტია, რომ თხილამურებით ჰაერში ასული აუცილებლად მშვიდობიანად ჩაუშვებს „ლუზას", ანდა გაიმარჯვებს მარტო მონაწილეებთან ჭიდილში კი არა, არამედ ჰაერთან, მზესთან, თოვლთან და კიდევ ვინ მოთვლის რამდენ დაბრკოლებასთან... რაც მთავარია, საკუთარ თავთან, საკუთარ ნერვებთან ულმობელ ბრძოლაში?

ჰაერში გატარებული რამდენიმე წამი თავისი შინაგანი დაძაბულობით, დრამატიზმით და, თუ გნებავთ, რაინდული, მარათონულ ასპარეზობას წააგავს. იკარგება დროის შეგრძნება და ფრენის პროცესი ტრამპლინის იკაროსებისთვის დაუსრულებელ დროის მონაკვეთად იქცევა.



— ამბობდნენ გავაო და აქი გაფრინდა კიდეც!

გ. იაშვილის ნახატი.

# სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

## ოლიმპიანი ნომერი

გაგრძელება

ნ. პერჩატკინას მეტოქენი ბევრს ეცადნენ მისთვის ლიდერობა ჩამოერთმიათ, მაგრამ ამაოდ. ერთადერთი ისევ მერკულოვა იყო, ვინც ლიდერს მიუახლოვდა, მაგრამ მათ შორის მაინც რჩებოდა სხვაობა — 0,09 წამი.

პირველი ტრასის ბოლომდე 38 მონაწილე მივიდა. მათმა შანსებმა მეორე ტრასაზე კიდევ უფრო იმატა, მაგრამ ახლა რისკის გაწევა აღარ შეიძლებოდა, ვინაიდან სპორტსმენთა მარცხი მათს კოლექტივებს ქულებს უკარგავდა. ამის მიუხედავად, მონაწილენი უკან არ იხევდნენ. ლიდერთა ათეულის წევრებს მედლების მოპოვების სურვილი არ ასვენებდათ, სხვები სატურნირო მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდნენ. ზოგმა მართლაც მიაღწია მიზანს და რამდენიმე საფეხურით მაღლა გადაინაცვლა. მილიუკოვას (იგი პირველ ცდაზე მეოთხე იყო), მერკულოვასა (მეორე) და უკრაინის გუნდის წევრს ს. ლებედევას (მეშვიდე) ხელი მოეცარათ — მონაპოვარიც „თოვლში ჩაყარეს". ლებედევა, რომელმაც უძლიერესთა ჯგუფში სტარტი ახლა პირველმა აიღო, ფაციფუცით დაეშვა, მაგრამ სტარტიდან მეორე კართან დაეცა. მართალია, მან გზა მალე გააგრძელა, მაგრამ მერე, ეტყობა, ნერვებმა უმტყუნა და პლატოზე ბრძოლას გამოეთიშა. მისი ბედი გაიზიარა მერკულოვამაც. იგი ზედიზედ ორჯერ წაიქცა, მაგრამ სარბიელი





არ მიუტოვებია და ფინიშთან მაინც მივიდა — 1.48,46 (ალბათ სამეიდისთვის ზრუნავდა), მანამდე ზიხოვამ მთელი ტრასა მაღალი ტემპით დაფარა — 41,72. ეს ჩემპიონის სერიოზული განაცხადი იყო, ვინაიდან ნ. პერჩატკინამ იმავე ტრასის გავლას 42,55 მოანდომა და ორი ცდის ჯამში ზიხოვას ჩამორჩა. მაგრამ ნატალიას დამარცხებისთვის რევანში მისმა დამ აიღო: ტატიანამ მთელი დისტანცია მოხდენილად, უშეცდომოდ გაიარა და ლიდერიც გახდა. ახლა მისი ძლევა მხოლოდ მილიუკოვას შეეძლო, მაგრამ შუა დისტანციაზე ისიც დაეცა. როგორც კი მილიუკოვას მარცხი შეიტყვეს, ყოფილმა მეტოქეებმა მყისვე მიულოცეს ორმაგი გამარჯვება ტატიანას — ჩემპიონის ოქროს მედალი და პირველობა ქალიშვილთა შეჯიბრებაში.

ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზკულტურის ინსტიტუტის უფის ფილიალის პირველი კურსის სტუდენტი ტ. პერჩატკინა ბაკურიანში მოპოვებულ წარმატებას პირველ ყოვლისა თავის სიძეს ი. სკრიაბინს უმადლის.

— იგი ჩემი დის მწვრთნელი იყო, — გვიამბობს ტატიანა, — სამიოდე წლის წინათ მეც მასთან დავიწყე მეცადინეობა. დაუღალავი კაცია, შეუძლია სპორტსმენს გამარჯვებისთვის ბრძოლის ჟინი და უნარი გამოუმუშაოს. მართალია, მის მიერ მოწყობილ პირველ ტრასაზე ცოტა წავიფორხილე, მაგრამ საბოლოოდ მაინც მივაღწიე მიზანს. ეს ჩემთვის ჩემპიონის პირველი ოქროს მედალია. ბაკურიანიდან უსაზღვროდ კმაყოფილი მივდივარ.

საქართველოს გუნდის წევრებმა ხ. ნასყიდაშვილმა („კოლმეურნე", XII ადგილი) და რუსთაველმა ნ. ფალიანმა („სპარტაკი", XV ადგილი) დღეს გუნდს 15 ქულა მისცეს.

### ტექნიკური შედეგები

ქალები: გ. ზიხოვა (მოსკოვის ოლქი, შეიარაღებული ძალები) — 1.16,72 (35,00+41,72); ნ. პერჩატკინა (ბაშკირეთი, „სპარტაკი") — 1.16,82 (34,27+42,55); ს. ზჩუკინა (პერმის ოლქი, „დინამო") — 1.19,21 (35,39+43,82); ი. ხაუკონენი (ლენინგრადის ოლქი, „ლოკომოტივი") — 1.20,70 (36,61+44,09); გ. სიდოროვა (მოსკოვი, „ლოკომოტივი") — 1.21,67 (35,83+45,84); ს. დუბროვინა (პერმის ოლქი, „ტრუდი") — 1.22,55 (37,54+45,01).

ქალიშვილები. ტ. პერჩატკინა (ბაშკირეთი, „სპარტაკი") — 1.16,76; ა. ფილიპოვა (მოსკოვი, „სპარტაკი") — 1.21,60; ლ. სიმაჟენკოვა (ლენინგრადი, „ბურევესტნიკი") — 1.24,96; ა.-მ. ფაბიაკი (უკრაინა, „ბურევესტნიკი") — 1.25,34; ე. შერეგოვა (ლენინგრადი, „შრომითი რეზერვები") — 1.26,33; ნ. ზელოვა (ბელორუსია, „ბურევესტნიკი") — 1.27,36. გუნდური შედეგები. პერმის ოლქი — 72 ქულა, ბაშკირეთის ასსრ — 65, ლენინგრადის ოლქი — 49, მოსკოვი — 48, მოსკოვის ოლქი — 37, ლენინგრადი, ბელორუსია — 28-28, საქართველო, კემეროვოს ოლქი — 15-15.

## ოთხის მაგიერ სამი დაშვებით

მოციგავეებს ტურნირი ძალზე გაუჭიანურდათ. იმის გამო, რომ ყინული მყარი არ არის, კალენდარი რამდენიმეჯერ დაირღვა. დღეს კი ამ სახეობის მსაჯთა კოლეგიამ გადაწყვიტა ერთადგილიანი ციგებით ვაჟთა და ქალთა შეჯიბრებაში ოთხის მაგიერ სამი დაშვება მოეწყო.

დღეს ამ სახეობაში უკანასკნელი ცდა ჩატარდა, რის შემდეგაც ორადგილიანი ციგებით ვაჟთა შეჯიბრებაც დამთავრდა. მათთვის პროგრამაში ორ-ორი დაშვება იყო. ყველაზე კარგად იასპარეზეს ლატვიელებმა, რომელთაც ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. საერთოდ, ამ რესპუბლიკის სასოფლო სპორტსაზოგადოება „ვარპის" მოციგავეები სპარტაკიადისთვის ძალიან კარგად მომზადებულან. ორადგილიანი ციგებით შეჯიბრებაში მასპინძელთაგან საუკეთესო იყო ზ. კობაძე — უ. გვარამაძის („სპარტაკი") ეკიპაჟი, რომელმაც XV ადგილი დაიკავა (1.29,539) და საქართველოს სპორტულ დელეგაციას 6 ქულა შესძინა.

ტურნირის დამთავრების შემდეგ ვესაუბრეთ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ საუკეთესო მოციგავეს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს კ. ბიგირსს.

— ამინდის პირველობამ სპორტსმენებსაც და მსაჯებსაც ძალიან შეგვიშალა ხელი, — თქვა მან. — ტრასის ყინული უფრო საიმედო რომ ყოფილიყო, შედეგებიც გაცილებით მაღალი იქნებოდა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გაისად ტრასა უფრო დაიხვეწება და მასპინძლებიც, რომლებმაც ბაზის მშენებლობის გამო სათანადოდ მომზადება ვერ მოასწრეს, უფრო მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებენ.

### ტექნიკური შედეგები

ერთადგილიანი ციგები (სამი დაშვების ჯამში): ქალები. ნ. შაშკოვა (მოსკოვი) — 2.10,011; ვ. ზოზულია (ლატვია, „ვარპა") — 2.12,585; ნ. ომშევა (ლენინგრადი, „სპარტაკი") — 2.14,161; ტ. ტიხონოვა (მოსკოვი) — 2.15,523; რ. ლევალდე (ლატვია, „ვარპა") — 2.15,599; ნ. იგნატიევა (ლენინგრადის ოლქი, „სპარტაკი") — 2.16,177. ვაჟები. ი. კორიაკინი (უკრაინა, „ავანგარდი") — 2.06,886; ვ. შიტოვი (მოსკოვი) — 2.07,493; ს. ხაილოვი (ლენინგრადის ოლქი, „სპარტაკი") — 2.07,748; ს. პროკოფიევი (ლენინგრადი, „სპარტაკი") — 2.09,473; ნ. ხავონკინი — 2.09,739; ვ. იაკუშინი (ორივე — მოსკოვი) — 2.10,058. ორადგილიანები (ორი დაშვების ჯამში): ვაჟები. ი. ეგოროვი — ი. იუდიჩევი (ლენინგრადი, „სპარტაკი") — 1.23,482; ვ. კიუზისი — რ. უპატნიექსი — 1.23,562; ლ. ბრემზე — ა. კრიკსი (ყველა — ლატვია, „ვარპა") — 1.24,979; ვ. იაკუშინი — ვ. შიტოვი (მოსკოვი) — 1.26,646; ს. ოსიპოვი — ვ. სპირიდონოვი (ლენინგრადის ოლქი, „ბურევესტნიკი", „სპარტაკი") — 1.26,709; ვ. რიჩკოვი — ს. ბაზინოვი (სვერდლოვსკის ოლქი, „ბურევესტნიკი") — 1.26,968.

## ყინული დაიძრა

საქართველოს სპორტსმენებმა სვერდლოვსკში, როგორც იქნა, პირველი ჩასათვლელი ქულები მოიპოვეს. ფიგურულ ციგურაობაში ქალთა ერთეულების შეჯიბრებაში სპორტსაზოგადოება „განთიადის" წევრებმა, თბილისელებმა მ. ცერცვაძემ (192,01 ქულა, VIII ადგილი), ლ. გაბელაიამ (181,57, XIV) და ქ. გუჯაბიძემ (173,90, XVI) 25 ქულა მოაგროვეს. ამას დაემატა მოკლე პროგრამით ასპარეზობაში ქ. მაჭავარიან — ვ. თავაძის დუეტის მიერ მოპოვებული 6 ქულა (XVII ადგილი).

## გარაქალა მათს მარჯვენას

ბაკურიანის ნაადრევი გაზაფხულით გამოწვეულმა თოვლის სიმცირემ სპარტაკიადის ორგანიზატორებს ბევრი საზრუნავი გაუჩინა. მოციგავეთა შეჯიბრების გეგმა ყოველდღე შეუსრულებელი რჩება. მსაჯებთან ერთად სპორტსმენებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ, რომ რიჟრაჟისთვის, როცა პირველი სტარტები ეწყობა, ვირაჟები კარგად გაყინული იყოს. მაგრამ კარგად გათენდება თუ არა, ყინული ლხვება და ორიოდე სირბის შემდეგ ასპარეზობაც წყდება.

არც 90-მეტრიან ტრამპლინს დაადგა კარგი დღე. გუშინ აქ საკონტროლო ვარჯიშები ნორმალურად რომ ჩატარებულიყო, კონტრფერდობის მოსაწყობად წალკრის ხამხრხაოდან და ტრამპლინის ფერდობებიდან უამრავი ნახერხი და თოვლი მოზიდეს. ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარისკაცთა ასეული, მუშები, სპორტსმენები, სპარტაკიადის ორგანიზატორები ყოველ ღონეს ხმარობენ, რომ შეჯიბრება არ შეფერხდეს.

განსაკუთრებით მონდომებით მუშაობენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტის ბაზა-პანსიონატის თანამშრომლები: უფროსი ინსტრუქტორი გ. სანაკოევი, თ. კოზანაშვილი, მექანიკოსი ვ. შავკანი, აგრეთვე, მ. კოზანაშვილი, რ. ლალიევი, მ. უსტიმენკო, თოვლზე მავალი მანქანის მძღოლი გ. არბოლიშვილი, სპორტკომბინატის საწყობის გამგე ა. ჯეირანაშვილი, ი. ნაგოგა, სამთომოთხილამურეთა შეჯიბრების მთავარი მსაჯის მოადგილე ი. ოგანეზოვი, მსაჯები: მ. ვავა, ჯ. აგიევა, ა. ხალინი და სხვები. ბარაქალა მათს მარჯვენას!

## მწვრთნელი

ნიკოლოზ თვაური დღეს 48 წლის კაცია, მაგრამ უთხილამუროდ გაძლება ერთ დღესაც არ შეუძლია. თავად შესანიშნავმა სპორტსმენმა როცა სარბიელი დატოვა, მწვრთნელობა დაიწყო და ნიჭიერი აღმზრდელიც აღმოჩნდა: 7 სპორტის ოსტატი და ათობით პირველთანრიგოსანი შემატა საქართველოს მოთხილამურეთა რიგებს. ბაკურიანში წვრთნისთვის საჭირო პირობები არ იყო, მაგრამ ნიკოლოზი მაინც ახერხებდა პატარებისთვის ტრამპლინიდან ხტო-

(დასასრული მე-3 გვ.).

# კი ასე შორს იყო

ამ აზრებს ავტორს ნუ მიაწერთ — ისინი ბაკურიანში ყოფნისას მოვისმინეთ სხვადასხვა სპორტსმენისგან.

სცადე და დროის მოჩვენებითი სიმოკლის მიუხედავად აღწერე თუნდაც ერთი ნახტომი, რომელიც ჰაერში მონავარდე სპორტსმენებისთვის დაუსრულებლად გრძელდება.

...ის იდგა ტრამპლინის თავში, მოხრილი, ძნელი გამოცდის წინ მღელვარებისგან ოდნავ გაფითრებული. — ამას გვიამბობდნენ უკვე შეჯიბრების დამთავრების შემდეგ. მხტომელთა საწყისი მოძრაობა, თუ შეიძლება ითქვას, სტერეოტიპულია. აი, მერე იწყება თუ იწყება ნამდვილი ჭაპანწყვეტა, როცა ადამიანი სწყდება უკანასკნელ საყრდენს და ფრინველივით აიჭრება მაღლა, რათა შემდეგ დაუსრულებლად იფრინოს. ჰაერში ისმის შხუილი და, ბანალურ შედარებად ნუ ჩაგვითვლით, მფრინავი მოთხილამურეები არწივებს მოგვაგონებენ. ის მიფრინავდა ჩვეულებრივად, მაყურებელთა შორის ამ ფრენაში ბევრმა გამოიცნო კობა წაქაძის ხელწერა, და როცა დაეშვა, უკვე პირველი დიდი ნაბიჯი ჰქონდა გადადგმული გამარჯვებამდე. გამარჯვება კი შორს იყო, ძალიან შორს. პირველი ნახტომის შემდეგ მის გამარჯვებას ეფარებოდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ გარი ნაპალკოვის მძლავრი ფიგურა. მაგრამ სიურპრიზი, და კარგა გვარიანი სიურპრიზი, უკვე შედგა. სამთოსათხილამურო სპორტის გურმანები ნეტარებით იფშვნეტდნენ ხელებს: მოკრძალებული, ბოლო წლებში დიდი სპორტიდან განმდგარი ბაკურიანელი გავა მეორე ადგილზე გავიდა. ეს იყო სიგნალი ყველა ფავორიტისთვის და, ბუნებრივია, მეორე ნახტომის წინ თითოეულმა მათგანმა მოიწადინა განედევნა „ნაკრძალში" გაუფრთხილებლად შემოჭრილი უტიტულო სპორტსმენი.

ნუთუ ისეთი „უბირი" და უტიტულო, როგორც ბევრს ეგონა? ნუ იფიქრებთ ასე: ერთ დროს მიხეილ გავასაც უღიმოდა ბედის ვარსკვლავი. მისი გამარჯვების შემდეგ დავიწყეთ სპორტის არქივის ქექვა და აღმოჩნდა, რომ თავის დროზე ნიჭიერი ბაკურიანელი იუნიორთა შორის საბჭოთა ქვეყნის პრიზიორიც ყოფილა. მასზეც ამყარებდნენ გარკვეულ იმედს და არც თუ უსაფუძვლოდ: იუნიორებიდან უფროსებში გადასულმა მხტომელმა საკავშირო ჩემპიონატში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა, შემდეგ რა მოხდა, რატომ განუდგა დიდ სპორტს, ანუ რა მიზეზით მოექცა ეგრეთ წოდებულ საშუალო მხტომელთა შორის, ამას გასაგებად ვერავინ აგიხსნით. თვით ჩემპიონი დუმს. ახლა დაგვრჩენია მიხეილ გავას ხანგრძლივი სპორტული კრიზისი მუხლის სერიოზული ტრავმით ავხსნათ. სპარტაკიადამდე, თუ ფავორიტებს შევადარებთ, იგი მოვიდა ყველაზე ნაკლებ ნავარჯიშევი, გამოუცდელი... გამოუცდელი? მიხეილი ხომ 1959 წლიდან დაფრინავს და თავის ცოდნას ნორჩებსაც გადასცემს სპორტსაზოგადოება „დინამოში". მაგრამ იგი ნამდვილად გამოუცდელად ჩაითვლებოდა, თუ კი შევადარებდით ნაპალკოვისა და სხვა ვარსკვლავების უდიდეს საერთაშორისო გამოცდილებას. ნაკლებ ნავარჯიშევი? ალბათ წლევანდელი სპარტაკიადის მონაწილეებიდან თითქმის არც ერთ სპორტსმენს არ დაუგროვდება ვარჯიშში გატარებული იმდენი საათი, რამდენიც ლამის ვეტერანობამდე მიღწეულ 29 წლის მიხეილ გავას. და მაინც, იგი ყველაზე ნაკლებ ნავარჯიშევად ჩაითვლებოდა მსოფლიოს საუკეთესო ტრამპლინებზე გაწვრთნილ ფავორიტებთან შედარებით.

ახლა თავად განსაჯეთ: თვით პირველი ნახტომის შემდეგაც კი გაბედავდა ვინმე წინასწარ გადაეცა გავასთვის ჩემპიონის ოქროს მედალი? ის კი იბრძოდა, როგორც თვითონ გვითხრა, დიდ ჯუთეულში მოსახვედრად. იგი საკუთარ თავს არ უტყდებოდა, რომ ეძებდა მარშლის კვერთხს. და მაინც, საცდელი ნახტომის შემდეგ მიხეილში ქვეცნობიერად ამოძრავდა სადღაც ღრმად მიმალული ლტოლვა უმაღლესი მწვერვალის დაპყრობისკენ. ეს მწვერვალი იყო მის მიერ უთვალავჯერ ნანახი ბაკურიანის 70-მეტრიანი ტრამპლინი. როგორ უნდოდა ბაკურიანელების, შინაურების, მეგობრების, ნაცნობების თვალწინ შეუძლებელი გაეკეთებინა, ყველა პროგნოზისთვის ხაზი გადაესვა. და მან მართლაც შეძლო შეუძლებელი. ეს ერთხელ კიდევ მიგვანიშნებს იმაზე, თუ რაოდენ მძლავრი და ერთგული მოკავშირეა სპორტსმენებისთვის მტკიცე, რკინისებური ნებისყოფა ანუ საკუთარი შესაძლებლობის მაქსიმალური მოკრების უნარი.

საოცარი ამბავია: მისი „ნაცნობებიდან" მხოლოდ ერთადერთმა ვერ აღიქვა მიხეილ გავას ბრწყინვალე გამარჯვება. და ისიც მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერ სულ ცხრა თვისა გახლავთ. ეს მისი პირმშო სოსო გავაა, ჩემპიონის ყველაზე დიდი სიხარული.

აი, დასასრულს უახლოვდება ჩვენი წერილი და იქნებ ზოგიერთმა მკითხველმა გვისაყვედუროს კიდეც: ჩვენ ვერ ვიგრძენით ცხადად საჩემპიონო ნახტომების სიმძლავრე და სილამაზეო. სხვათა შორის, ასეთ სასწაულს მხოლოდ საკუთარი თვალით თუ აღიქვამ და შეიგრძნობ. ამაში, საბედნიეროდ, დამეთანხმება ათასობით გულშემატკივარი, რომლებიც ბაკურიანის მზით განათებული ტრამპლინის ძირში იდგნენ და თვალნათლივ ხედავდნენ, უფრო სწორად, გრძნობდნენ, ახალი ჩემპიონის დაბადებას.

ა. გოგელია,
(ჩვენი სპეც. კორ.).
ბაკურიანი — თბილისი.



• • •

ს უ რ ა თ ზ ე: კ. წაქაძე (მარცხნივ) გამარჯვებას ულოცავს მ. გავას.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

დ ა ს ა ს რ უ ლ ი

მა და ორჭიდი შეეყვარებინა. საშუალო სკოლის ფიზკულტურის მასწავლებელს როგორ გამოეპარებოდა, რომელ ბავშვს რა იტაცებდა. და ისიც მათ მისწრაფებას სწორ გეზს აძლევდა, წლების განმავლობაში დაუღალავად შრომობდა და ნაყოფსაც იმკიდა.

ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ პავლე გავამ ქვეყანა აალაპარაკა, როცა ლენინგრადში გამართული უძლიერეს ტრამპლინიდან მხტომელთა ტურნირი მოიგო. საბჭოთა კავშირის ხალხთა ზამთრის I სპარტაკიადაში კობა წაქაძის გამარჯვებისთვის და ჩვენი რესპუბლიკის „მფრინავ მოთხილამურეთა" მიერ საპრიზო ადგილის მოპოვებისთვის ნიკოლოზ თვაურს საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.

მიხეილ გავასაც ნიკოლოზმა აადგმევინა სპორტში ფეხი. ჯერ კიდევ იუნიორმა მიხეილმა ლენინგრადში თანატოლთა შორის III ადგილი დაიკავა. 1967 წელს მან ქვეყნის ჩემპიონის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა და საბჭოთა კავშირის ნაკრებში ჩაირიცხა. შემდეგ გავა დაშავდა და სპორტს კარგა ხნით ჩამოშორდა, მაგრამ მწვრთნელს სჯეროდა მისი ნიჭისა და არ ეშვებოდა, ვარჯიშს ურჩევდა. შედეგმაც არ დააყოვნა: მიხეილი სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა.

უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკური სკოლის მწვრთნელი ნ. თვაური კვლავ მუყაითად მუშაობს, კვლავ ეძებს ახალ ტალანტებს. ამჟამად იგი 12 მოზარდს ამეცადინებს.

— მომავალი სპარტაკიადისთვის უფრო ძლიერი გუნდი გვეყოლება, ახლა ხომ მუშაობისთვის ბევრად უკეთესი პირობები გვაქვს, — ამბობს ნიკოლოზი. — თუ წლეულს 40-მეტრიანი ტრამპლინიც აიგო, ყველაფერი რიგზე იქნება. ოთხიოდე წლის მერე საკავშირო ჩემპიონატებში საპრიზო ადგილების მოპოვება აღარ გაგვიჭირდება. ვინ იცის, იქნებ რომელიმე ბაკურიანელმა საერთაშორისო სარბიელზე მოპოვებული წარმატებებითაც გაგვახაროს.

• •

ს უ რ ა თ ზ ე: სპეციალურ სლალომში ქალთა შორის პრიზიორები, დები ტ. პერჩატკინა (მარცხნივ, I ადგილი) და ნ. პერჩატკინა (III ადგილი).

გ. კიკვაძის ტელეფოტო.
(საქინფორმის ფოტოქრონიკა).



## სსრკ ხალხთა ზამთრის სპარტაკიადა 1974

## ძნელი და საპატიო

სპარტაკიადის მონაწილეთა შორის ყველაზე მძიმე ალჭურვილობა სამთომოთხილამურეებს აქვთ. გარდა იმისა, რომ საკმაოდ მოუხეშავი, მძიმე სპეციალური ფეხსაცმელები აცვიათ, მათ ყველა ქალაქსა თუ დაბაში, სადაც საასპარეზოდ მიდიან, სამი წყვილი თხილამურიც უნდა ატარონ, ვინაიდან ყველა სახეობაში სხვადასხვანაირი ინვენტარი სჭირდებათ.

მაგრამ ბაკურიანში უფრო მძიმედ დატვირთულ ხალხსაც შეხვდებით: ბევრ კორესპონდენტს კინოკამერების, ფირების დასტების და ათასგვარი დამხმარე ხელსაწყოების ზიდვა უხდება.

ცენტრალური, საქართველოს, ლატვიის დოკუმენტური ფილმების, ცენტრალური და საქართველოს ტელესტუდიებისა თუ სხვა გადამღები ჯგუფების წევრები სწრაფდაშვების 3000-მეტრიანი ტრასის თითქმის ყველა მონაკვეთზე იყვნენ ჩასაფრებული, რათა ფირზე აღებეჭდათ შეჯიბრების საინტერესო მომენტები. ისინი ორჭიდელებსაც ეწვივნენ და ტრამპლინიდან ხტომის საუკეთესო ეპიზოდებიც გადაიღეს.

სწორედ მათი გულმოდგინების შედეგია, ცისფერი ეკრანები მაყურებლებს ყოველ საღამოს სპარტაკიადის მსვლელობის ამსახველ ცოცხალ კადრებს რომ აწვდიან.

როგორც საქართველოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტის სპორტულ გადაცემათა მთავარმა რედაქტორმა გ. ჭელიძემ გვითხრა, საქართველოს ტელევიზია იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმს კ. წაქაძეზე და ფერად სატელევიზიო ფილმს „თეთრი სპარტაკიადა".

შედარებით მსუბუქად „შეიარაღებული" არიან ჩვენი რესპუბლიკის, საკავშირო, უკრაინისა და სხვა რადიოკომენტატორები. ისინი პორტატული მაგნიტოფონებით იწერენ პირდაპირ ბრძოლის მსვლელობას, ჩემპიონების, სპეციალისტების, მსაჯების ინტერვიუს და ეთერში გადასცემენ.

ძნელი, მაგრამ საპატიო სპორტული ჟურნალისტებისა და კინოოპერატორების შრომა.

## ბუქი...

ბაკურიანში წვიმდა. 90-მეტრიან ტრამპლინზე დილიდანვე ბაზის მაშველი სამუშაოები მიმდინარეობდა. დაქანების ბაქანი სპეციალური საფარით დაფარეს. უამინდობის გამო გადაწყდა, რომ შეჯიბრება 16 მარტს ნაცვლად 12 საათისა 10 საათზე დაიწყოს. კოხტაგორაზე გაიმართა სპეციალურ სლალომში ვაჟთა ნახევარფინალური ასპარეზობა. საქართველოს გუნდიდან ფინალში ვაჟთა კოლექტივის ყველა წევრი გავიდა (ი. ნასყიდაშვილი, გ. ჯიჩოევი, ა. სტეპანიანი, რ. აკოფოვი და დ. თვაური).

# ცნობები სვერდლოვსკიდან

სვერდლოვსკი, 14 მარტი. ასპარეზობის დამთავრებამდე სამი დღით ადრე სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის სპარტაკიადის ფინალის ორბიტაზე ბიატლონი გავიდა. „მსროლელმა მოთხილამურეებმა" გამოცდა მოუწყვეს „დინამოს" სასროლეთს, რომელიც რეკონსტრუქციის შემდეგ სწორედ ამ შეჯიბრების წინ ჩადგა მწყობრში. სასროლეთი არა მარტო თანამედროვე მოთხოვნებს უპასუხებს. იგი გაკეთებულია ურალის კოლორიტის გათვალისწინებით, უაღრესად გულმოდგინედ.

ფინიშმა დაასახელა სპარტაკიადის ჩემპიონი 15 კმ-ზე სროლით რბოლაში: ვილნიუსელი ი. გრუზდევი. მისი შედეგია 1:08.36,91.

მთავარი მოვლენები განვითარდა უქტუსის მთების სათხილამურო სტადიონზე, სადაც მოეწყო ვაჟთა სათხილამურო ესტაფეტა 4×10 კმ-ზე. ურალის მთებში გაზაფხულის დარები დაიჭირა და ტრასაც, რასაკვირველია, გართულდა.

მაგრამ თბილმა ამინდმა ხელი ვერ შეუშალა მაღალ შედეგებს ესტაფეტაში. გაიმარჯვეს ჭეშმარიტად უძლეველებმა — რუსეთის ფედერაციის პირველი გუნდის მოთხილამურეებმა. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ კალინინელი გ. ილინი, კიროველი ი. სკობოვი, სიქტივკარელები ნ. ბაჟუკოვი და ვ. როჩევი. გამარჯვებულთა შედეგია 2:20.00. მათ საგრძნობლად ჩამოიტოვეს ორი სხვა პრიზიორი — რუსეთის მეორე გუნდი (2:22.18) და მოსკოვის ნაკრები (2:22.49).

თავისი დაბადების დღე, 25 წლისთავი, ი. სკობოვმა საუკეთესო შედეგით აღნიშნა. მან მესამე ეტაპი ლიდერის ს. ვალიულინის (რსფსრ—2) შემდეგ დაიწყო, მაგრამ მაინც შორს ჩამოიტოვა მეტოქეები და ფინიშთან პირველი მიიჭრა. ამით სკობოვმა ქულათა საუცხოო მარაგი მისცა თავის გუნდს. ბოლო სიტყვა კი ვ. როჩევს ეკუთვნოდა, რომელმაც ამ რბოლის შემდეგ სპარტაკიადის უკვე მესამე საჩემპიონო მედალი მოიპოვა.

არანაკლები ტაში დაიმსახურა სვერდლოვსკის გუნდმა. ოვაციები პირველ ყოვლისა ეკუთვნოდა ა. პიატაგინს, რომელიც ბოლო ეტაპზე გამოდიოდა. მან მეშვიდემ მიიღო ესტაფეტა, ხოლო ფინიშთან მეოთხე მივიდა, თანაც, უკანასკნელი მეტოქე ჩამოიტოვა უკვე 10-კილომეტრიანი ტრასის ბოლოს.

საინტერესო და მიმზიდველი იყო ფიგურული ციგურაობის ოსტატთა შეჯიბრება. მას შემდეგ, რაც მოსკოველებმა ი. როდნინამ და ა. ზაიცევმა ნებისმიერი პროგრამა დაამთავრეს, სვერდლოვსკის პროფკავშირების სპორტის სასახლის ყინული ყვავილებით დაიფარა. ზაიცევს ამ ყვავილების მოსაგროვებლად უფრო მეტი დრო დასჭირდა, ვიდრე პროგრამის შესასრულებლად. ასე გამოხატეს თავიანთი მადლობა და აღტაცება სვერდლოვსკელებმა, რომლებსაც დიდი ხანია აღარ უხილავთ საუკეთესო საბჭოთა მოციგურავეთა ოსტატობა.

ტექნიკური შესრულებისთვის ცხრავე მსაჯმა 5,9 ქულა დაუწერა ს. ჟუკის შეგირდებს, ხოლო მათი შესრულების მხატვრული გამომსახველობა ექვსმა არბიტრმა უმაღლესი — 6,0 ქულით შეაფასა (სამი დანარჩენი შეფასება 5,9 იყო). სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონებმა, რომლებიც ამ ცოტა ხნის წინათ ბრწყინვალედ გამოვიდნენ მსოფლიო პირველობაში, 142,49 ქულა დააგროვეს (ადგილების ჯამი — 9).

დანარჩენი საპრიზო ადგილები განაწილდა იმავე თანმიმდევრობით, როგორც მოკლე პროგრამის შემდეგ. ვერცხლის მედლები ხვდათ ასევე ს. ჟუკის მოწაფეებს — მოსკოველებს ნ. გორშკოვას და ე. შევალოვსკის. მათ მაყურებლებს უჩვენეს უაღრესად საინტერესო კომპოზიცია, რომელიც თითქმის უნაკლოდ შეასრულეს (მსაჯთა შეფასება ასეთი იყო: 5,7—5,8). ჯამში ამ სპორტსმენებმა 137,44 ქულა დააგროვეს (18). ბრინჯაოს მედლები ხვდათ ახალგაზრდა ლენინგრადელ მოციგურავეებს ი. ვორობიოვას და ა. ვლასოვს — 133,47 (27).

ლ. სმირნოვა და ა. ულანოვი იძულებული გახდნენ გამოსვლაზე უარი ეთქვათ, ვინაიდან სმირნოვა ავად იყო.

ვაჟთა სტაიერულ, 5-კილომეტრიან დისტანციაზე გამარჯვა ი. კონდაკოვმა (სვერდლოვსკის ოლქი) — 7.46,57. ვერცხლის მედალი მიიღო ა. ვლადიმიროვმა (კრასნოიარსკის მხარე) — 7.49,78, ბრინჯაოსი — ვ. ივანოვმა (უდმურტეთის ასსრ) — 7.50,23.

საჯელი მოგვითხრობს

# ჩემპიონი უცნობია

მოსკოვში გაიმართა ევროპის ლიგის პირველობის ერთ-ერთი შეხვედრა მაგიდის ჩოგბურთში სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდებს შორის. ანგარიშით 6:1 გაიმარჯვეს უნგრელებმა. ერთადერთი ქულა საბჭოთა გუნდს შესძინა მოსკოველმა ზ. რუდნოვამ, რომელმაც დაამარცხა ი. მაგოში — 2:1 (16:21, 21:18; 21:19). ბათუმელმა ს. სარხოიანმა წააგო გ. გერგეისთან 0:2 (19:21, 13:21), მოსკოველმა ს. გომოზკოვმა — ი. იონერთან 0:2 (16:21, 19:21). ვაჟთა წყვილების შეჯიბრებაში გომოზკოვისა და სარხოიანის შეხვედრა მსოფლიოს 1971 წლის ჩემპიონებთან იონერთან და ტ. კლამპართან უნგრელების გამარჯვებით დამთავრდა — 2:0 (21:16, 25:23). შერეულ წყვილებში რუდნოვა და გომოზკოვი დამარცხდნენ მაგოშთან და იონერთან — 0:2 (17:21, 18:21). შემდეგ სარხოიანმა კვლავ წააგო იონერთან — 1:2 (21:18, 19:21, 17:21). ასეთივე ანგარიშით გომოზკოვმა წააგო გერგეისთან (9:21, 21:9, 13:21).

თუმცა უნგრელებმა გაიმარჯვეს, მაგრამ ჩემპიონი ცნობილი გახდება მხოლოდ მას შემდეგ, როცა დამთავრდება ჩემპიონობის სხვა პრეტენდენტთა შეხვედრა შვეციაში, სადაც ითამაშებენ მასპინძელი ქვეყნისა და ინგლისის ნაკრები გუნდები.

მაგიდის ჩოგბურთი

## ტელეფონით

ბელგრადში გრძელდება 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა X საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი, რომელშიც მსოფლიოს და სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილიც მონაწილეობს.

გუშინ „ლელოს" კორესპონდენტი ნონას ტელეფონით ესაუბრა.

# გაფრინდაშვილი: 8 ქულა 8-დან!

— 13 მარტს მონაწილეებმა დავამთავრეთ პირველ რვა ტურში გადადებული პარტიები,—თქვა ნონამ. — სხვათა შორის, გადადებული 15 პარტია იყო და მათგან 4 კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

გაგაცნობთ დამთავრებული პარტიების შედეგებს: შტადლერმა მოუგო კალხბრენერს (I ტურიდან გადადებული), პიხაილიჩ — ლაზარევიჩის პარტიის (II ტურიდან) შედეგია 0,5:0,5, კალხბრენერმა მოუგო სებრიჩს (ყველა — იუგოსლავია), ვოკრუალოვამ (ჩეხოსლოვაკია) — ბოჟკოვიჩს (იუგოსლავია. ორივე — III ტურიდან), კალხბრენერ — ბოჟკოვიჩი — 0,5:0,5, მე დავამარცხე იუგოსლაველი მარკოვიჩი (ორივე — IV ტურიდან), მედიანიკოვამ (სსრ კავშირი) მოუგო სებრიჩს (V ტურიდან), მედიანიკოვამ სძლია ბოჟკოვიჩს, იოვანოვიჩმა — სებრიჩს, მარკოვიჩ — შტადლერი 0,5:0,5 (სამივე VI ტურიდან), ვოკრუალოვამ მოუგო პოლონელ რაძიკოვსკას (VIII ტურიდან).

8 ტურის შემდეგ მე 8 ქულა მაქვს, უნგრელ ვერეცის — 6,5, იუგოსლავიის ჩემპიონს კალხბრენერს — 5,5, რაძიკოვსკას — 4,5 ქულა და 1 გადადებული პარტია.

14 მარტს დასვენების დღე გვქონდა. გაზეთ „პოლიტიკის" რედაქციამ მოაწყო ელვისებური თამაშის ტურნირი, რომელშიც 9 ქალი და 10 ვაჟი მონაწილეობდა. მე 17,5 ქულა მოვაგროვე და I ადგილი მხვდა. II ადგილი 16 ქულით დაიკავა კალხბრენერმა, III 14 ქულით — ვერეციმ.

პარასკევს IX ტურით, რომელშიც ლაზარევიჩს ვხვდები, ტურნირში ბრძოლას გავაგრძელებთ.




# პირველი მატჩი — 1:1

14 მარტს გაიმართა ფეხბურთში სსრ კავშირის თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩები. გათამაშების ამ ეტაპზე თბილისის „დინამოს" მეტოქე იყო დუშანბეს „პამირი", რომელიც თავის მინდორზე ღებულობდა დინამოელებს.

მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა მიეღწიათ წარმატებისთვის. ისინი დიდხანს უტევდნენ და 43-ე წუთზე გაითამაშეს კომბინაცია, რომელიც ზუსტი დარტყმით დაამთავრა პოგთრელოვმა — 1:0.

შესვენების შემდეგ ინიციატივას დაეუფლნენ თბილისელები. 75-ე წუთზე ყიფიანის შორეულმა დარტყმამ მიზანს მიაღწია და ეს ანგარიში — 1:1 ბოლომდე შემორჩა მატჩს.

თბილისის „დინამო" თამაშობდა ასეთი შემადგენლობით: გაგოშიძე, ძოძუაშვილი, ხურცილავა, ჭელიძე, მუჯირი, ებრალიძე, მ. მაჩაიძე, ასათიანი, გუცაევი (ლ. ნოდია), გ. ნოდია, ყიფიანი. მსაჯობდა ვ. ტოლჩინსკი (ალმა-ათა).

ამ გუნდების განმეორებითი შეხვედრა შედგება თბილისში 18 მარტს.

ამავე დღეს გაიმართა მეთექვსმეტედფინალის სხვა მატჩებიც. მინსკის დინამოელებმა სოხუმში მიიღეს ვოროშილოვგრადის „ზარია" და წააგეს ანგარიშით — 1:3. გამარჯვებულთაგან ბურთები გაიტანეს ვ. კუზნეცოვმა, შაკუნმა და ელისეევმა, ხოლო დამარცხებულთაგან — კურნევმა. დონეცკის „შახტიორმა" გორლოვკაში მოუგო მოსკოვის „ლოკომოტივს" — 2:1. აღსანიშნავია, რომ მოსკოველმა ოვჩინიკოვმა საკუთარ კარში ჩაჭრა ბურთი, როცა ანგარიში უკვე იყო 1:0 „შახტიორის" სასარგებლოდ. ერთადერთი საპასუხო გოლი გაიტანა ჩესნოკოვმა.

3 მატჩი შედგა სოჭის სტადიონზე. ივანოვოს „ტექსტილშჩიკმა" მარცხი განიცადა მოსკოვის „სპარტაკისგან" — 0:1 (ბურთი გაიტანა რედინმა). დნეპროპეტროვსკის „დნეპრმა" დიდი ანგარიშით მოუგო კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს" — 5:0. 2 ბურთი გაიტანა სლობოდინმა, თითო — გრინკომ, პორკუიანმა და ევსეენკომ. ლენინგრადელი ხრომჩენკოვის ორმა ბურთმა გამარჯვება მოუტანა „ზენიტს" ივანო-ფრანკოვსკის „სპარტაკთან" შეხვედრაში — 2:0.

ადლერის სტადიონზე 2 მატჩში ანგარიში არ გახსნილა. 0:0 — ასე ითამაშეს იაროსლავლის „შინიკმა" ერევნის „არარატთან" და ლიპეცკის „მეტალურგმა" — მოსკოვის „დინამოსთან". ანგარიში არ გახსნილა ზაპოროჟიეშიც, სადაც ადგილობრივი „მეტალურგი" ხვდებოდა მოსკოვის „ტორპედოს" და კიშინიოვში ადგილობრივი „ნისტრუსა" და ოდესის „ჩერნომორეცის" შეხვედრაში. ლვოვში „კარპატიმ" მოუგო როსტოვის არმიელთა გუნდს ბროვარსკის მიერ გატანილი ერთადერთი ბურთის წყალობით.

იყო სენსაციებიც. სიმფეროპოლში I ლიგის დებიუტანტმა, ადგილობრივმა „ტავრიამ" დაამარცხა ალმა-ათის „ყაირათი" — 2:1, ამასთან ორივე ბურთი გაიტანა კლიმოვმა („ყაირათის" მხრივ — იონკინმა), ბაქოში კი „ნეფთჩიმ" დამაჯერებელი ანგარიშით მოუგო ტაშკენტის „ფახტაქორს" — 3:0. ბურთები გაიტანეს რახმანოვმა, აბასოვმა და სმოლნიკოვმა.



## ისევ ცსკა და „სპარტაკი"

გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის ორი მატჩი.

**მოსკოვი.** სსრ კავშირის ჩემპიონმა ცსკა-მ დაამარცხა თბილისის „დინამო" — 86:64 (50:31).

**ტალინი.** ტარტუს „კალევმა" დაძაბულ ბრძოლაში ქულა დაუთმო ლენინგრადის „სპარტაკს" — 84:85 (42:46).

### გათამაშების ცხრილი

**მდგომარეობა 15 მარტისთვის**

| | თ. | მ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| ცსკა | 22 | 21 | 1983—1696 | 21 |
| „სპარტაკი" | 21 | 17 | 1614—1430 | 17 |
| „სტროიტ." | 21 | 13 | 1801—1698 | 13 |
| „კალევი" | 22 | 11 | 1788—1721 | 11 |
| „დინ." (მ.) | 20 | 11 | 1617—1571 | 11 |
| „დინ." (თბ.) | 21 | 9 | 1607—1667 | 9 |
| „ჟალგირისი" | 20 | 7 | 1552—1604 | 7 |
| რტი | 20 | 5 | 1401—1655 | 5 |
| ასკ (რიგა) | 20 | 5 | 1540—1721 | 5 |
| ასკ (კიევი) | 21 | 5 | 1581—1721 | 5 |

# ოთხ ტონაზე მეტი შოკოლადი და...

ტკბილეულის მოყვარულთ ეხსომებათ: როცა ნონა ჭადრაკის დედოფლის გვირგვინს იცავდა თბილისში, ჩვენმა კონდიტრებმა ამ მოვლენას რძიანი ნამცხვარი მიუძღვნეს. ნამცხვარი ჭადრაკის დაფის კვადრატებითა და დედოფლის გვირგვინით მოხატულ ქაღალდებში იყო გახვეული.

საწარმოო გაერთიანება „თბილკონდიტერის" თანამშრომლებს ძალიან უყვართ სპორტი.

სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის დღეებში, ბაკურიანის საკონდიტრო მაღაზიებში გამოჩნდა შოკოლადის პატარა მედლები, ვანილის შოკოლადის ფილები, რძიანი ნამცხვარი და მარმელადი კოლოფებით. ეს ტკბილეული სპარტაკიადას ეძღვნება.

— სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადისადმი მიძღვნილი ნაწარმის გამოშვება 20 თებერვლიდან დავიწყეთ. ბაკურიანში გავგზავნეთ ოთხ ტონაზე მეტი შოკოლადი, რვა ტონა მარმელადი, ოცი ტონა რძიანი ნამცხვარი, — გვითხრეს „თბილკონდიტერში".

ტკბილეულის სამეფოში ვანილისა და კაკაოს მძაფრი სურნელი ტრიალებს. ჭკვიანი ავტომატები თვითონვე ურევენ უზარმაზარ ქვაბში შოკოლადის მასას, შემდეგ ყალიბებში ასხამენ, აცივებენ და ფუთავენ. მანქანების მუშაობას თეთრხალათიანი ქალები ხელმძღვანელობენ. მათი ნახელავი ნებისმიერი საკონდიტრო ფაბრიკის ნაწარმს გაეჯიბრება. „თბილკონდიტერის" გამოშვებულ კანფეტებს — „ასორტს", ნიგვზიან შოკოლადსა და



ნაკრებ „მზიურს" სახელმწიფო ხარისხის ნიშანი აქვთ. ხარისხით ამ კანფეტებს არც სასპარტაკიადოდ გამოშვებული ტკბილეული ჩამოუვარდება. ბაკურიანის სტუმრებს დიდხანს ემახსოვრებათ მისი გემო.

**ა. გურასაშვილი.**

სურათებზე: ზევით — რძიანი ნამცხვრის შემხვევი მანქანის ბრიგადირი ე. აფციაური; ქვევით— შოკოლადის ფილების შემხვევი ლ. მერაბიშვილი.

ავტორის ფოტოები.



# კალეიდოსკოპი

## პროფესიონალი ფეხბურთელის ორსახეობა

იტალიის ქალაქ კალიარის მსუბუქი ავტომანქანების ყიდვა-გაყიდვისა და ტექნიკური მომსახურების ფირმა „რივა-როკოსაბამ" დაითხოვა 10 მუშა-მექანიკოსი აქტიური პროფკავშირული მოღვაწეობისთვის. ამ გადაწყვეტილების პასუხად ფირმის მუშებმა გაფიცვა გამოაცხადეს. ისინი მოითხოვდნენ მექანიკოსების დაბრუნებას სამუშაოზე და საწარმოში პროფკავშირული ორგანიზაციის უფლებების დაცვას. ამ ფაქტებს პრესაში ალბათ განსაკუთრებული გამოხმაურება არ მოჰყვებოდა, ფირმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი იტალიაში ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი, ქვეყნის ნაკრების წევრი ჯიჯი რივა რომ არ იყოს.

ფირმის შენობის კედელზე წააწერეს: „რივას მარცხენა ფეხით გოლები გააქვს, მარჯვენა ფეხით კი მუშებს ქუჩაში ყრის".

რომი.

## იყიდება ... ბობი მური

ინგლისის გუნდის კაპიტანი ბობი მური, რომელსაც ეკუთვნის რეკორდი — 107 გამოსვლა ეროვნული ნაკრების სახელით, ახლა... იყიდება საჯარო ვაჭრობით. ბობი მურს ისევე მოექცნენ, როგორც ყველა პროფესიულ ფეხბურთელს სარბიელის დატოვების შემდეგ, როცა ისინი უკვე ვეღარ იძლევიან საჭირო შემოსავალს.

მური გასაყიდ მოთამაშეთა სიაში შეიტანეს. კლუბი „ვესტ ჰემი", რომელსაც იგი ერთგულად ემსახურებოდა თექვსმეტი წლის მანძილზე, სულ იოლად შეელია სახელგანთქმულ ფეხბურთელს.

მაგრამ სპორტის ბიზნესმენებს სურთ კიდევ ერთხელ მოითბონ ხელი მურის წყალობით და ცდილობენ რაც შეიძლება ძვირად გაყიდონ იგი.

მურს ამ ვაჭრობიდან არაფერი შეხვდა. მისთვის არავის უკითხავს, რომელ გუნდში გინდა გადასვლაო. ცნობილ ფეხბურთელს ისღა დარჩენია ბედს დაემორჩილოს და მოთმინებით დაელოდოს, რომელი საფეხბურთო კლუბის კუთვნილება გახდება.

(საკდესის კორ.).

## ჭადრაკი

● ლენინგრადი, 14 მარტი. დამტკიცდა ჭადრაკში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტ ვაჟთა ერთ-ერთი ნახევარფინალური მატჩის რეგლამენტი. როგორც ცნობილია, ბ. სპასკისა და ა. კარპოვის შეხვედრა გაიხსნება 10 აპრილს ძერჟინსკის სახელობის კულტურის სასახლეში, რომელიც 1000 მაყურებელს იტევს. მეტოქენი ითამაშებენ ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით. დანარჩენი დღეები, გარდა კვირისა, გადადებული პარტიების დამთავრებას მოხმარდება. პარტიების დასაწყისი 16 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით.

# მძიმე დანაკლისი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ მოულოდნელად გარდაიცვალა საბჭოთა სპორტის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, წარსული წლების ბრწყინვალე მოკრივე ნიკოლოზ კოროლიოვი.

ნ. კოროლიოვი დაიბადა 1917 წელს. ჭაბუკობიდანვე ეზიარა სპორტს და თავისი შესანიშნავი მონაცემები გამოამჟღავნა კრივში. 1936-დან 1956 წლამდე ნ. კოროლიოვი 6-ჯერ იყო სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი და 9-ჯერ — ჩემპიონი მძიმე წონაში. სამამულო ომის წლებში ნ. კოროლიოვი მოხალისედ წავიდა ფრონტზე, იბრძოდა პარტიზანთა რიგებში, რისთვისაც დაჯილდოებული იყო მთავრობის მაღალი ჯილდოებით.

თბილისელი სპორტის მოყვარულები კარგად იცნობდნენ ამ უმაღლესი კლასის მოკრივის ოსტატობას. ქართველი მოკრივეები დიდ პატივს სცემენ თავიანთი მეგობრის ხსოვნას.

რედაქტორის მოადგილე
**ზ. ჯაფარიძე.**

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — უე 04511